საქართველო

2443-01-2-202102051159

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/2443
05/02/2021

ფრიად სასწრაფო

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ **კახაბერ საბანაძეს**

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ბექა ძამაშვილს**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ **ლელა ჩიქოვანს**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ეკატერინე მიქაბაძეს**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ნიკოლოზ გაგუას**

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ნინო თანდილაშვილს**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ლევან ხარატიშვილს**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **მზია გიორგობიანს**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ლია გიგაურს**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
უფროსის მოადგილეს ბატონ **გიგა ნიკოლეიშვილს**

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს
ქალბატონ **ნათია მერებაშვილს**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს
ბატონ კახაბერ ქემოკლიძეს

საქართველოს პრემიერ მინისტრის მრჩეველს
ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში
ქალბატონ ლელა აქიაშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს თავმჯდომარეს
ქალბატონ ეკატერინე ქარდავას

სახელმწიფო ინსპექტორს
ქალბატონ ლონდა თოლორაიას

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
ბატონ კახა ბექაურს

ეროვნული უსაფრთხოების
საბჭოს აპარატს

პატივცემულო კოლეგებო,

როგორც მოგეხსენებათ, ევროკავშირის ყოველწლიურად მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას გამოყოფს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად, რომლის ოდენობამ 2014-2020 წლებში, მხოლოდ ორმხრივ ფორმატში 750 მილიონ ევრომდე ფინანსური დახმარება შეადგინა.

ამ ეტაპზე, ევროპული მხარეს იწყებს კონსულტაციებს ქართულ მხარესთან, საქართველოსთვის მომავალი 2021 – 2027 წლების ფინანსური დახმარების ჩარჩოს და 2021 წლების ევროკავშირის დახმარების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებთან და ბიუჯეტთან დაკავშირებით.

კონსულტაციები **<u>დაიგეგმა ა/წლის 9-10 თებერვალს და გაიმართება ციფრულ ფორმატში.</u>** სამწუხაროდ, ევროკომისიის მხრიდან თარიღის დადასტურება და ღონისძიების დღის წესრიგის მოწოდება მოხდა დაგვიანებით, რის გამოც გვიწევს შემჭიდროვებულ ვადებში მოგმართოთ და გთხოვთ თქვენი უწყების ჩართულობას პროცესში.

ღონისძიების მთავარი მიზანია, **გააცნონ ქართულ მხარეს ის ზოგადი პრიორიტეტული მიმართულებები, საითაც მიმართული იქნება ფინანსური დახმარება მომავალი 7 წლის განმავლობაში და ასევე, მოისმინონ შესაბამისი უწყებების მოლოდინები და მათი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი სტრატეგიული მიმართულებები.**

გიგზავნით ევროკომისიის მიერ მოწოდებულ დღის წესრიგს, სადაც დეტალურადაა გაწერილი, თუ რომელ თემატურ სესიებზე, რომელი უწყებების მონაწილეობა იქნება აუცილებელი. ასევე, მასში მოცემულია **ევროპული მხარისათვის მნიშვნელოვანი ის**

თემები/კითხვები, რის ირგვლივაც გაიმართება დისკუსია თემატურ სესიებზე და იქნება აუცილებელი თქვენი უწყების ჩართულობა.

9 თებერვალს, ღონისძიების გახსნით ნაწილზე, რომელიც ერთი საათი (12:30 – 13:30) გაგრძელდება, ევროპული მხარე გაგვიზიარებს ძირითად ხედვას საქართველოსთვის მომავალ ევროკაშირის დახმარებასთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომ თემატურ სესიებში, შეგიძლიათ, როგორც თავად ჩაერთოთ, ასევე მოახდინოთ დელეგირება თქვენი უწყების შესაბამის წარმომადგენელზე.

შეხვედრების შესაბამის Webex-ის პლატფორმის მონაცემებს წინასწარ მოგაწვდით. გთხოვთ უმოკლეს ვადებში დაგვისახელოთ თქვენი უწყების წარმომადგენელი ელ ფოსტაზე (ljalagonia@mfa.gov.ge; CC-ში dbujiashvili@mfa.gov.ge), რომელიც მონაწილეობას მიიღებს კონსულტაციებში, ევროკომისიის მიერ მოწოდებულ შეხვედრის დღის წესრიგში მითითებულ კონკრეტულ დროს, თქვენი უწყების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

დანართი:

- ევროკომისიის მიერ მოწოდებული დღის წესრიგი, კონკრეტული თემატური სესიების დროს განსახილველი საკითხების (სავარაუდო კითხვები) მითითებით (5 გვერდი ინგლისურ ენაზე).
- ევროკომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია დამხმარე საინფორმაციო მასალა (2 გვერდი ინგლისურ ენაზე).

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე